პრესრელიზი

მსოფლიო ბანკის და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოში ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციული პროგრამა დაიწყო

თბილისი, 25 ოქტომბერი, 2022 – საქართველომ დღეს ოფიციალურად დაიწყო **ადამიანური კაპიტალის პროგრამა** მსოფლიო ბანკის და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალის ამაღლება ჯანდაცვაში, განათლებასა და სოციალურ დაცვაში ინვესტირებით. ეს არის უდიდესი მრავალდარგობრივი ინვესტიცია, რომელიც მსოფლიო ბანკმა საქართველოსთან პარტნიორობის 30 წლის განმავლობაში განახორციელა და ასევე პირველი პროექტი, რომელიც ყოვლისმომცველი ფორმით ახდენს ფოკუსირებას ადამიანური კაპიტალის განვითარების სამივე კრიტიკულ სფეროზე.

ადამიანური კაპიტალის პროგრამისთვის 400 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის გამოყოფასთან ერთად, მსოფლიო ბანკი საქართველოს ასევე დაეხმარა დამატებითი თანადაფინანსების სახით 100 მლნ. ევროს მოზიდვაში საფრანგეთის განვითარების სააგენტოსგან (AFD). თანადაფინანსების ხელშეკრულების ოფიციალური ხელმოწერის ცერემონია დღეს პროგრამის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაიმართა.

„საქართველოს მთავრობასთან ერთად ჩვენ ვახორციელებთ ინვესტირებას საქართველოს მოსახლეობასა და მის მომავალში. გვჯერა, რომ საქართველოს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებაში ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. განათლებაში, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაში ტრანსფორმაციული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობით, ადამიანური კაპიტალის პროგრამა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს გრძელვადიანი განვითარების დაჩქარებასა და ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალი გზის განმტკიცებაში,“ - განაცხადა **მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა**.

„ეს პროგრამა არის სოციალური პოლიტიკის და ჯანდაცვის მიმართულებით ხანგრძლივი თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობა საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას შორის, და ასევე, უფრო მეტი ამბიციისა და დადებითი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის. ეს არის დემონსტრირება იმისა, რომ კლიმატზე ფოკუსირებული ღონისძიებები შეიძლება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სოციალურ პოლიტიკასთან, რაც სარგებლის მომტანი იქნება როგორც მოსახლეობისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. პროგრამის განხორციელება მოითხოვს უწყვეტ კონსულტაციას ბენეფიციარებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, და ძალისხმევის გაერთიანებას განვითარების მიმართულებით მომუშავე სხვა პარტნიორებთან,“ - აღნიშნა **სამხრეთ კავკასიაში საფრანგეთის განვითარების ოფისის დირექტორმა რაფაელ ჟოზანმა.**

ადამიანური კაპიტალის პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას სამართლიანი და თანასწორი წვდომით მაღალი ხარისხის განათლებასთან, უკეთ ფოკუსირებულ სოციალურ დახმარებასთან და ძლიერ პრევენციულ ჯანდაცვასთან, მკურნალობისა და მედიკამენტების შემცირებული ხარჯებით.

„საქართველოს მთავრობას ადამიანური კაპიტალის განვითარება თავის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიაჩნია და ადასტურებს ინვესტიციების საჭიროებას ამ მიმართულებით. მსოფლიო ბანკს დიდი გამოცდილება და პოტენციალი აქვს ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში. თანაბრად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საფრანგეთის განვითარების საგენტოს (AFD) თავისი წვლილის შეტანა სურს რეფორმის ამ ეტაპის წარმატებით განხორციელებაში. გვჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა, ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ განვითარებასა და პროდუქტიულობის ზრდას,”- აღნიშნა **საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა.**

ადამიანური კაპიტალის პროგრამა გააძლიერებს საქართველოში ბავშვებისა და ახალგაზრდების უნარებს და კომპეტენციას, რათა მათ უკეთ დაძლიონ თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებული კომპლექსური პრობლემები. სწავლის საერთო შედეგების გასაუმჯობესებლად, პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნას როგორც ადრეული განათლების, ისე ზოგადი და საუნივერსიტეტო განათლების და მომდევნო ეტაპებზე, უზრუნველყოფს რა თანასწორ შესაძლებლობებს ყველაზე ღარიბი და მოწყვლადი ფენებისთვის.

პროგრამა ასევე გააფართოებს ჯანდაცვის გაუმჯობესებულ სერვისებთან წვდომას ტელემედიცინის კონსულტაციების ხელშეწყობით და ფარმაცევტული მართვის გაძლიერებით მედიკამენტების ფასების შესამცირებლად, რაც საქართველოს მოსახლეობის მიერ გადახდილ ხარჯებში მნიშვნელოვან წილს შეადგენს.

სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად კი ადამიანური კაპიტალის პროგრამა ხელს შეუწყობს ბავშვიანი ღარიბი ოჯახების სწრაფ იდენტიფიცირებას და მათ საჭიროებებზე რეაგირებას დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებით ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის სოფლად.

კლიმატის ცვლილების გლობალური დღის წესრიგის მიმართ საქართველოს ერთგულების გამოსახატავად, პროგრამა ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში კლიმატის ცვლილებებისა და ენეგოეფექტიანობის შესახებ მოდულების ჩატარებას, მასწავლებლების ტრენინგს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი და ენერგოეფექტური სკოლების თაობაზე, და ასევე, „მწვანე“ სამუშაო ადგილებისთვის საჭირო უნარების განვითარებისადმი მიმართული ტრენინგების განხორციელებას.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული საქართველოს ადამიანური კაპიტალის მიმოხილვის თანახმად, საქართველოსათვის კრიტიკულად მნიშნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარება, რათა მოხდეს პროდუქტიულობის, დაბერების და ინკლუზიურობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე რეაგირება ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიჰყევით ბმულს: http://www.worldbank.org/en/country/georgia

შემოგვიერთდით Facebook-ზე: https://www.facebook.com/WorldBankGeorgia

საკონტაქტო პირები:

თბილისში: ირმა გეგეჭკორი, igegechkori@worldbank.org

ვაშინგტონში: პოლ კლერი, pclare@worldbank.org

Press Release No: 2023/ ECA/ 32